ღგბტქ საკითხების გაშუქების საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

EQUALITY MOVEMENT

EQUALITY MOVEMENT

ლგბტქ საკითხების გაშუქების

საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

თბილისი

2021

კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია „თანასწორობის მოძრაობა“. ის შესაძლოა არ ასახავდეს ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს შეხედულებებს.

კვლევის ავტორი: მარიკა დუდუნია

კვლევის რედაქტორი: თათია რაზმაძე

კვლევის გარეკანი: იონა უთავსაური

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, თანასწორობის მოძრაობის წერილობითი ნებართვის გარეშე.

თბილისი, უშანგი ჩხეიძის ქ. N19

www.equality.ge

info@equality.ge

აბსტრაქტი

მედიამ არ უნდა გამოაქვეყნოს დისკრიმინაციული შინაარსის ინფორმაცია და პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს ისეთი კულტურის ჩამოყალიბებას, სადაც ყველა ადამიანს თანაბრად ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს საკუთარი უფლებებით და თავისუფლებებით. ლგბტქ საკითხების მეტი სიხშირით და ეთიკური სტანდარტების დაცვით გაშუქებას შეუძლია შეცვალოს არსებული დისკრიმინაციული გარემო. სწორედ ასეთია, საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა, რომლის გაცნობაც ამ კვლევის მიზანს წარმოადგენდა. ნაშრომის ფარგლებში გაანალიზდა ლგბტქ საკითხების ეთიკურად გაშუქების შესახებ შექმნილი ის რეკომენდაციები, რომელიც შემუშავებულია ლგბტქ თემის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. აგრეთვე, გაანალიზდ ის ჟურნალისტური მასალები, რომლებიც ამ რეკომენდაციების დაცვით არის გამოქვეყნებული.

სარჩევი

შესავალი 4

კვლევის მეთოდოლოგია 7

ლგბტქ საკითხების გაშუქების საერთაშორისო სტანდარტები 9

ლგბტქ საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინოლოგია 9

პრობლემური ტერმინოლოგია და მათი ეთიკური გადაწყვეტა 14

მედიაში გავრცელებული ზოგიერთი ნეგატიური სტერეოტიპი 15

ზოგადი რჩევები ლგბტქ საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით 18

ლგბქტ თემთან დაკავშირებული საკითხის ვიზუალიზაცია 19

ჟურნალისტური პროდუქტის კონტექსტი 20

ლგბტქ საკითხის გაშუქების დროს ბალანსის დაცვასთან დაკავშირებული რჩევები 21

პრაიდის გაშუქებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები 22

ლგბტქ საკთხების გაშუქების საერთაშორისო პრაქტიკა 23

ლგბტქ საკითხების გაშუქება ნიუ-იორკერის მიერ (THE NEW YORKER) 23

ტრანსგენდერ ადამიანების შესახებ - ნიო-იორკ თაიმსი (The New York Times) 26

ლგბტქ საკითხთან დაკავშირებული ახალი ამბავი - ასოშიეიტიდ პრესი (AP) 27

ლგბტქ საკითხთან დაკავშირებული ახალი ამბავი ბიზნეს-მედიის ობიექტივში - CNBC 28

ლგბტქ საკითხთან დაკავშირებული სიუჟეტი - ტელეკომპანია ეი-ბი-სი (ABC) 29

ლგბტქ საკითხთან დაკავშირებული ჟურნალისტური გამოძიება- პროპუბლიკა (PROPUBLICA) 30

დასკვნა 32

შესავალი

დღემდე სხვადასხვა ქვეყანაში მრავალი ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანი განიცდის დისკრიმინაციას. ისინი ხშირად ხდებიან სიძულვილის ენის ან/და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი. ლგბტქ თემის წევრები სრულფასოვნად ვერ სარგებლობენ საკუთარი უფლებებითა და თავისუფლებებით. ამასთან, საქართველოში სახელმწიფოს შესაბამისი უწყებები თემის წევრების მიმართ ჩადენილ დანაშაულზე არაეფექტურად რეაგირებენ. საგამოძიებო უწყებები გამოძიების მიმდინარეობის პროცესში უმეტესწილად ვერ ახერხებენ გამოკვეთონ დისკრიმინაციის ან სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი .[1]

მოძალადე ჯგუფების მხრიდან დისკრიმინირებული თემი მედიის მხრიდანაც განიცდის ჩაგვრას:

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ლგბტქ თემთან დაკავშირებით ვრცელდება სტერეოტიპული გამონათქვამები;
- მედია თემის წინააღმდეგ მიმართულ სიძულვილის ენას უკონტექსტოდ ავრცელებს;
- პირდაპირ ეთერში სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები ხშირად აკეთებენ ჰომოფობიურ განცხადებებს, ჟურნალისტები კი აუდიტორიას არ განუმარტავენ, რომ გამოთქმული აზრები არ შეესაბამება სინამდვილეს და შეურაცხმყოფელია.

არაეთიკურმა გაშუქებამ შესაძლოა ლგბტქ თემის წევრებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი მიაყენოს. სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით,[2] ლგბტქ ადამიანებისა და მათი ოჯახის წევრებზე ფიზიკურად იძალადეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს სხვადასხვა გარემოებასა და სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, - გადაცემაში მონაწილეობის მიღების მოტივით.

დისკრიმინაციის წახალისების საფრთხეებსა და მისთვის თავის არიდების აუცილებლობაზე. მედიას ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი მიუთითებს[3] -„ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის,

---

[1] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებები დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის მხრივ, თბილისი, 2021, 14

[2] იქვე;

[3] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ქარტიის პრინციპების განმარტებები, პრინციპი 7, ხელმისაწვდომია:https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30508-qartiis-principebis-ganmartebebi, განახლებულია: 21.09.2021

პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშით“.

2020 წლის 9 მაისს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომ ტელეკომპანია *იმედის* ჟურნალისტებს სწორედ მე-7 პრინციპის დარღვევა დაუდგინა. საბჭომ ტელეკომპანიის ეთერში 2020 წლის 28 აპრილს გასული გადაცემა „ღია ეთერი“ განიხილა. გადაცემის წამყვანი ვაკო გორგილაძე მონოლოგში საუბრობდა ვანო მერაბიშვილზე, ნიკა გვარამიასა და ლევან ბერძენიშვილზე. წამყვანმა ამ ადამიანების მიმართ შეურაცხყოფის მიყენების მიზნით, კრიტიკული აზრის გამოთქმის დროს თქვა შემდეგი: „... მეორე სუბიექტი (ნიკა გვარამია) რომელიც ასევე დაკარგულია, ოღონდ, როგორც ჩანს, გენდერული იდენტობის ძიებაში...“, წამყვანმა აგრეთვე ისაუბრა ლევან ბერძენიშვილზე და მაყურებელს აჩვენა პარლამენტის ყოფილი წევრის ფოტო, სადაც ლევან ბერძენიშვილს ლგბტქ დროშა უჭირავს. ამის შემდეგ კი, ჰომოფობიურ ნიადაგზე გააკრიტიკა. ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილებით,[4] წამყვანმა დაარღვია ეთიკის კოდექსის მეშვიდე პრინციპი. „ჟურნალისტი იდენტობასთან და თემის მიმართ უკვე არსებული სტიგმის გამოყენებით ცდილობს კონკრეტული ადამიანების დისკრედიტაციას. შესაბამისად, ეს იწვევს ლგბტქ პირების მიმართ ნეგატიური სტიგმის გაძლიერებას, ჰომოფობიური განწყობების გაღვივებას და გავრცელებას“

ჟურნალისტებს ასე მოქცევას “მაუწყებლობის შესახებ” კანონის 56-ე მუხლი უკრძალავს. კანონის თანახმად, „იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივებას, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის“ .

ლგბტქ თემის არაეთიკურად გაშუქების გარდა, მედია თემის წევრების პრობლემების, მათ წინაშე არსებული გამოწვევების და საჭიროებების შესახებ იშვიათად საუბრობს. საქართველოში მედია ძირითადად „17 მაისის მოვლენებს“ აშუქებს და წლის დანარჩენ დროს თემთან დაკავშირებული საკითხები ფაქტობრივად უგულებელყოფილია.

ჟურნალისტური სტანდარტები კი მედიის წარმომადგენლებს მოუწოდებს, ასეთი საკითხების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინონ. „პროფესიონალი ჟურნალისტების ასოციაციის“ (SPJ) ეთიკის კოდექსის მიხედვით,[5] „მედიამ საუბრის

---

[4] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის გადაწყვეტილება N-372, ხელმისაწვდომია:https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/84271-thanastsorobis-modzraoba-vaka-gorgiladzis-da-rusa-shelias-tsinaaghmdeg, განახლებულია: 21.09.2021

[5] Society of Proffesional Journalists, SPJ Code of Ethics, 6/09/2014, პარ. 12, ხელმისაწვდომია: https://www.spj.org/ethicscode.asp, განახლებულია: 21.09.2021

საშუალება უნდა მისცეს იმ ადამიანებს ვისი ხმაც იშვიათად ისმის“. ლგბქტ თემსმეტი სივრცის დათმობის აუცილებლობაზე მიუთითებს „მედია-მრავალფეროვნების ინსტიტუტიც“.[6] საერთაშორისო ორგანიზაცია უთანასწორობასთან ბრძოლის წინააღმდეგ მედიის როლს უნიკალურს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს უწოდებს. ორგანიზაციის მიხედვით „სწორედ მედიის მეშვეობით ჩვენ ვხედავთ, ლგბტქ თემის ავთენტურ ცხოვრებას... თუ მედიამ ვერ მოახერხა, ამ ამბების სათანადო გაშუქება, მაშინ ლგბტქ საზოგადოება დაიტანჯება მათი ამგვარი ქმედების გამო“[7].

მედიამ ლგბტქ ადამიანებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ისე უნდა მოახერხოს, რომ ერთი მხრივ, საზოგადოებამ დაინახოს თემის წევრების ავთენტური ცხოვრება, მეორე მხრივ კი, შეცვალოს არსებული ძალადობრივი გარემო. ამისთვის საჭიროა ჟურნალისტებმა ლგბტქ საკითხების შესახებ ინფორმაცია აუდიტორიას ხშირად და ეთიკური პრინციპების დაცვით მიაწოდონ. პროფესიონალმა ჟურნალისტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ტერმინოლოგიას, რომლებსაც ლგბტქ თემთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების დროს იყენებენ; კონტექსტს - რომელსაც წარმოადგენენ და აქცენტებს, რაზეც ფოკუსირდებიან .[8]

ქართულ მედიაში ლგბტქ საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებულ პრობლემებს რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. მათ შორის, გამოცდილების ნაკლებობა. პრობლემას ქმნის ისიც, რომ ჟურნალისტებისთვის ამ დრომდე არ შექმნილა დოკუმენტი, რომელიც მედიის წარმომადგენლებს გააცნობდა ქვიარ საკითხების გაშუქების საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკას.[9]

არსებული ცოდნის გაღრმავებისთვის, წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს დაინტერესებული პირებისთვის იმ ტერმინოლოგიის, კონტექსტისა და აქცენტების გაცნობას, რომლითაც საერთაშორისო მედია აშუქებს ლგბტქ თემთან დაკავშირებულ

---

[6] Hannah Ajala, Media Diversity Institute, Media representations of LGBTQ+ communities in Africa, 18/06/2021, პარ. 10, ხელმისაწვდომია:. https://www.media-diversity.org/unethical-biased-and-complicit-in-homophobia-media-representations-of-the-lgbtq-communities-in-africa/, განახლებულია:21.09.2021

[7] “The role of the media in the fight against inequality is very vital and unique because through them, we see the authentic lives of LGBTQ+ people devoid of bias. If they fail in this duty by misreporting and misinforming, LGBTQ+ people suffer for their actions”.

[8] Ivana Jovanovic, Media Diversity Institute, Media is still failing to educate public on LGBTQ+ rights, Serbia, 30/09/2019, პარ.1, ხელმისაწვდომია:https://www.media-diversity.org/serbian-pride-media-is-still-failing-to-educate-public-on-lgbtq-rights/, განახლებულია: 21.09.2021

[9] შენიშვნა: თბილისში 2013 წელს გამოიცა სახელმძღვანელო[9] სახელწოდებით „შესავალი ლგბტ ჟურნალისტიკაში“. პუბლიკაციის მიზანი მედიის წარმომადგენლებისთვის თემთან დაკავშირებული ისეთი საკითხების გაცნობა იყო, როგორიც არის ლგბტქ ჟურნალისიტიკის ისტორია. სახელმძღვანელოში აგრეთვე განხილული იყო რამდენიმე ქართული სტატია და სიუჟეტი, რომელშიც ლგბტქ საკითხები არაეთიკურად იყო გაშუქებული

საკითხებს. ამისთვის წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება საერთაშორისო მედიის მიერ გამოქვეყნებული, უახლესი სტატიები, სიუჟეტები, მულტიმედია მასალები და სხვ.

ნაშრომის პირველი თავი ლგბტქ საკითხებთან დაკავშირებულ, ყველაზე ხშირად გამოყენებულ ტერმინოლოგიის განმარტებას ეთმობა. შემდგომ თავში მოცემულია არასწორი ფრაზებისა და მათი ეთიკური შესატყვისების ახსნა. ნაშრომში აგრეთვე გაანალიზებულია ლგბტქ თემის მიმართ არსებული სტერეოტიპები და მათი საწინააღმდეგო რეალური ფაქტები. წინამდებარე ნაშრომის ძირითადი ნაწილი მოიცავს ჟურნალისტების მიერ ლგბტქ თემის გაშუქებასთან დაკავშირბეულ კონკრეტულ რჩევებს. ასევე, ჟურნალისტური პროდუქტის ვიზუალური მხარის, კონტექსტისა და აქცენტების შესახებ არსებული სტანდარტების განხილვას. ნაშრომის ბოლო თავი ეთმობა სხვადასხვა მედიის მიერ ლგბტქ საკითხების გაშუქების მაგალითებს.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ლგბტქ საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის შესწავლას. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩატარდა სამაგიდე კვლევა.

კვლევის მიზნებისთვის, საერთაშორისო სტანდარტებად განისაზღვრა ლგბტქ თემის მედიაში გაშუქებასთან დაკავშირებით შექმნილი სანდო ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციები. ლგბტქ საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები ჩამოაყალიბა ამერიკულმა ორგანიზაციამ - *გეი და ლესბოსური ალიანსი დიფამაციის*[10] *წინააღმდეგ* (Gey and Lesbian Alliance Agains Defamation GLAAD).

GLAAD-ის გარდა, ლგბტქ თემის გაშუქებასთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესახებ, მედიისთვის რეკომენდაციები კიდევ რამდენიმე ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა, ესენია: GIFFORDS; LGBTQ Task Force; Naral Pro-Choice America და United We Dream. თითოეული მათგანი აშშ-ში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციებია, რომლებიც ადამიანების უფლებების დაცვის კუთხით სხვადასხვა სფეროში მოწინავეები არიან.

---

[10] დიფამაცია მასმედიაში გამონაგონის, კონკრეტული ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციული შინაარსის მქონე ინფორმაციის გავრცელებას ნიშნავს. GLAAD 1985 წელს აშშ-ში დაფუძნდა. 30 წლიანი არსებობის მანძილზე არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს კულტურული ცვლილების და ლგბტქ თემის მიღების დაჩქარებასთან დაკავშირებით. მასმედიაში დიფამაციის ამა თუ იმ ფორმის აღმოჩენის შემთხვევაში კი ალიანსი, ინფორმაციის წყაროს დადგენის მიზნით, დაუყოვნებლივ რეაგირებს მასზე.

აშშ-ში დაფუძნებული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გარდა, წინამდებარე ნაშრომი დაეყრდნო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის E.TH.O.S-ის[11] კვლევას. პროექტი პროფესიონალი ჟურნალისტების და სტუდენტებისთვის ლგბტქ თემთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით შეიქმნა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საერთაშორისო პრაქტიკად მიჩნეული იქნა ის სტატიები, სიუჟეტები და მულტიმედია მასალები რომლებიც GLAAD-ის მიხედვით, საუკეთესო სტატიას, სიუჟეტს ან მულტიმედია მასალას წარმოადგენს. აგრეთვე, იმ გამოცემების მიერ გამოქვეყნებული მასალები, რომლებისთისაც ლგბტქ თემის ეთიკურად გაშუქება პრიორიტეტულია.

GLAAD ყოველწლიურად გადასცემს ჯილდოს მედიის წარმომადგენლებს საუკეთესო სტატიის, სიუჟეტის და მულტიმედია მასალის ნომინაციაში. გარდა მასმედიის წარმომადგენლებისა, პრემია გადაეცემათ ასევე კინოს, მუსიკის, სარეკლამო ინდუსტრიის მოღვაწეებს.

ლგბტქ საკითხების გაშუქების საერთაშორისო პრაქტიკის შესასწავლად გაანალიზდა ნიუ-იორკერის (THE NEW YORKER); ნიუ-იორკ თაიმსის (The New York Times); ასოშიეიტიდ პრესის (AP); CNBC-ის; აგრეთვე ტელეკომპანია ABC-ის პროპუბლიკას (ProPublica) მიერ მომზადებული ჟურნალსიტური მასალები.

[11] E.T.Ho.S – Eliminating Transphobic, Homophobic and biphobic Stereotypes through better media representation - ტრანსფობიური, ჰომოფობიური და ბიფობიური სტერეოტიპების აღმოფხვრა მედიის მიერ უკეთესი გაშუქებით

ლგბტქ საკითხების გაშუქების საერთაშორისო სტანდარტები

ლგბტქ საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინოლოგია

დანართი N1.

ლგბტქ აბრევიატურა[12]
○ **ლგბტქ** - აბრევიატურა, რომელსაც იყენებენ, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების აღსანიშნავად. ○ **ლესბოსელი** - ქალი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს ქალი. ○ **გეი** - კაცი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს მამაკაცი. ○ **ბისექსუალი** - როცა ადამიანს ემოციურად ან/და სექსუალურად იზიდავს როგორც იმავე ასევე, სხვა სქესის ადამიანი. ○ **ტრანსგენდერი** - ქოლგა ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს ვისი გენდერული იდენტობა, გამოხატვა და ქცევა განსხვავდება მისი ბიოლოგიური სქესის ტიპური მახასიათებლებებისგან. ეს ტერმინი ასევე გულისხმობს ტრანსსექსუალებს, ტრავესტებს, ტრანსვესტიტებს, ტრანსგენდერებს, ქროსდრესერებსა და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებს. ტრანსგენდერ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ჰეტეროსექსუალური, ჰომოსექსუალური ან ბისექსუალური ორიენტაცია. ○ **ქვიარი:** ქვიარი არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება ისეთი ადამიანის აღსანიშნავად, რომელიც არ არის ჰეტეროსექსუალი ან სისგენდერი და მოიცავს ლესბოსელს, გეი კაცს, ბისექსუალსა და ტრანსგენდერ ადამიანს. ქვიარის თეორია არის ჰეტერონორმატიული სოციალური ქცევა, რომელიც უკავშირდება გენდერსა და სექსუალობას და ამტკიცებს, რომ გენდერული როლები სოციალური კონსტრუქციებია. ქვიარი გარკვეულწილად ფართო ტერმინია, რომელიც მოიცავს აზრს რომლის თანახმადაც ნებისმიერი განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანი ქვიარია.[13]

[12] იხ: ILGA EUROPE-ის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, ხელმისაწვდომაი:https://www.ilga-europe.org/resources/glossary, განახლებულია: 21.09.2021

[13] იქვე;

დანართი N2.

„+“ ლგბტქ აბრევიატურიდან შეიძლება მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება)
○ **ასექსუალი**: ასექსუალი არის ადამიანი რომელიც შეიძლება საერთოდ არ განიცდიდეს სექსუალურ ლტოლვას ვინმეს მიმართ, ან განიცდიდეს, მაგრამ მხოლოდ მცირედით. თითოეული ასექსუალი ადამიანი შეიძლება განიცდიდეს მიზიდულობას, ან ლტოლვას განსხვავებულად.[14] ○ **გენდერულად არაკონფორმული:** ეს ტერმინი აღწერს ადამიანებს რომელთა გენდერული იდენტობა, გენდერული როლები და გენდერული გამოხატვა განსხვავდება იმისგან, რასაც ამ ადამიანებისგან ელოდებიან. ტერმინი - „გენდერულად არაკონფორმული“ და „გენდერულად კონფორმული“, აგრეთვე გამოიყენება განსხვავებული ქცევისა და გენდერული გამოხატვის აღსაწერად, რადგან ხაზს არ უსვამს გენდერს და ანაცვლებს ტერმინების - „მასკულინობა“ ან/და „ფემინურობა“.[15] ○ **ინტერსექსი:** ინტერსექსი ადამიანები დაბადებული არიან ისეთი მახასიათებლებით (მათ შორის, გენიტალიები, სასქესო ჯირკვლებით თუ ქრომოსომული შემადგენლობით), რომელიც არ მიესადაგება კაცის ან ქალის კატეგორიას. ხშირად ექიმები მშობლებს ურჩევენ, რომ შვილებს ქირურგიული ოპერაცია გაუკეთონ, რათა მათი სხეული მიესადაგებოდეს ქალის ან კაცის გარეგნულ მახასიათებლებს. თუმცა, ახალშობილის სხეულში ასეთმა ჩარევამ ინტერსექსი ბავშვისთვის მოზარდობის ასაკში შესაძლოა შეუქცევადად უარყოფითი შედეგი გამოიღოს.[16] ○ **ქროსდრესერი** - ადამიანი, რომელიც დროგამოშვებით ისეთ ტანსაცმლს ატარებს, რომელიც ტრადიციულად სხვა სქესის ადამიანთან ასოცირდება. ქროსდრესერები ხშირად თავიანთ ბიოლოგიურ სქესთან კომფორტულად არიან და არ სურთ სქესის შეცვლა. [17]

სქესი - ადამიანის კლასიფიცირება მამაკაცად ან ქალად, რაც ეყრდნობა მათ გარეგნულ მახასიათებლებს (ის რაც წერია დაბადების მოწმობაში ბიოლოგიური სქესის შესახებ). ადამიანის სქესი სხეულის მახასიათებლების გარდა მოიცავს რამდენიმე კომბინაციას:

---

[14] იხ: The Asexual Visibility&Education Network-ის განმარტება, ხელმისაწვდომია:: https://www.asexuality.org/?q=overview.html, განახლებულია: 21.09.2021

[15] იხ: American Pshychological Associatoin-ის განმარტება, ხელმისაწვდომა:: https://www.apa.org/monitor/2015/09/upfront-committee-gender, განახლებულია:21.09.2021

[16] იხ: Dan Christian Ghattas, Standing up for human rights of intersex-people-Ho can We help, Ilga Europe, OIL Europe, დეკემბერი, 2015, ხელმისაწვდომია: https://www.ilga-europe.org/sites/default/files/how_to_be_a_great_intersex_ally_a_toolkit_for_ngos_and_decision_makers_december_2015_updated.pdf, განახლებულია: 21.09.2021

[17] იხ. ILGA EUROPE-ის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

ქრომოსომები, ჰორმონები, რეპროდუქციული ორგანოები და მეორადი სექსუალური მახასიათებლები.[18]

სექსუალური ორიენტაცია - ინდივიდის მდგრადი ფიზიკური, რომანტიკული, ემოციური ან/და სულიერი მიზიდულობა სხვა ადამიანის მიმართ. იგი მოიცავს ლესბოსურ, გეი, ბისექსუალურ და ჰეტეროსექსუალურ ორიენტაციას.[19]

გენდერული გამოხატვა - გენდერის მანიფესტაცია, რომელიც გამოხატულია ადამიანის სახელის, წარმოთქმის, ჩაცმულობის, ვარცხნილობის, ხმის, სხეულის მახასიათებლების მიხედვით და რომლებსაც საზოგადოება უწოდებს ქალურს ან მამაკაცურს. ასევე ეს მიკუთვნება იცვლება დროთა განმავლობაში და დამოკიდებულია კულტურაზე. როგორც წესი, ტრანსგენდერ ადამიანებს სურთ რომ მათი სქესი გამოხატული იყოს მათი გენდერული იდენტობის მიხედვით და არა დაბადების მოწმობაში ჩაწერილი სქესის მიხედვით.[20]

გენდერული იდენტობა - ადამიანის შინაგანი, ღრმა შეგრძნება საკუთარი სქესის მიმართ. ტრანსგენდერი ადამიანის შემთხვევაში, აღნიშნული შინაგანი გრძნობა არ ემთხვევა დაბადების მოწმობაში მითითებულ სქესს. პიროვნება საკუთარ თავს შეიძლება აღიქვამდეს კაცად ან ქალად, ზოგჯერ კი შესაძლოა სცილდებოდეს ამ განსაზღვრებას. გენდერული იდენტობა შეიძლება იყოს, ან არც იყოს, კავშირში ადამიანის ბიოლოგიურ სქესთან. გენდერული იდენტობა განსხვავდება სექსუალური ორიენტაციისგან. [21]

[18] წყაროდ გამოყენებულია TGEU-ის განმარტებითი ლექსიკონი, იხ: https://tgeu.org/glossary/
[19] იხ. ILGA EUROPE-ის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი.
[20] იხ: TGEU-ის განმარტებითი ლექსიკონი, ხელმისაწვდომია: https://tgeu.org/glossary/, განახლებულია: 21.09.2021
[21] იხ. TGEU-ის განმარტებითი ლექსიკონი.

დანართი N3.

ტერმინოლოგია რომელიც დაკავშირებულია გენდერულ იდენტობასთან[22]
○ **სისგენდერი** - ტერმინი სისგენდერი მიესადაგება იმ ადამიანს, რომლის გენდერული იდენტობა და გენდერული თვითგამოხატვა შეესაბამება დაბადებისას მისთვის მინიჭებულ ბიოლოგიურ სქესს. ○ **ტრანსგენდერი კაცი** - ადამიანი, რომელიც დაბადებისას მდედრობით სქესს მიაკუთვნეს, მაგრამ თავს კაცად აღიქვამს. ტრანსგენდერ კაცებს ასევე უწოდებენ FtM (Female to Male). ○ **ტრანსგენდერი ქალი** - ადამიანი, რომელიც დაბადებისას მამრობით სქესს მიაკუთვნეს, მაგრამ თავს ქალად აღიქვამს. ტრანსგენდერ ქალს ასევე უწოდებენ MtF (Male to Female). ○ **ტრანზიცია** - დაბადებისას მინიჭებული სქესის ცვლილება, რომელიც არა ერთსაფეხურიანი არამედ, კომპლექსური პროცესია და დიდ დროს მოითხოვს. ტრანზიცია მოიცავს ზოგიერთ ან ყველა შემდგომ პირად, ლეგალურ, სამედიცინო ცვლილებებს: ოჯახისთვის, მეგობრებისა ან/და თანამშრომლებისთვის საკუთარი გენდერული იდენტობის გაცხადება; სახელის ან/და სქესის შეცვლა ყველა ან რამდენიმე დოკუმენტში; ჰორმონალური თერაპია; ერთი ან რამდენიმე სახის ქირურგიული ოპერაცია (თუმცა ყოველთვის არა).

[22] იხ. ILGA EUROPE-ის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

დანართი N4.

გენდერული იდენტობის საფუძველზე ან სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინოლოგია
○ **სიძულვილით მოტივირებული დანაშაული -** სიძულვილით მოტივირებულ დანაშაული არის სისხლისსამართლებრივი ქმედება, რომელიც მოტივირებულია მიკერძოებით ან წინასწარგანწყობით ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის მიმართ (OSCE ODIHR, N d).[23] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე პრიმა მუხლის მიხედვით[24] „დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ... ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის“ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1993). ○ **სიძულვილის ენა -** ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაციით, „სიძულვილის ენა მოიზარებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს, შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით“(Council of Europe, 1997).[25] ○ **დისკრიმინაცია** - პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს (საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვირს შესახებ, 2014).[26] არსებობს რამდენიმე სახის დისკრიმინაცია ესენია: პირდაპირი, ირიბი, მრავალმხრივი, ვიქტიმიზაცია, შევიწროება (ILGA EUROPE, glossary – Descrimination). [27] ამასთან, დისკრიმინაცია არის ნებისმიერი სახის ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც არღვევს ადამიანებს შორის თანასწორობას და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მათ რომელიმე ნიშნის ან ჯგუფისადმი კუთვნილების გამო (კოალიცია თანასწორობისთვის, 2019). [28] ○ **ჰომოფობია/ტრანსფობია** - ირაციონალური შიში და სიძულვილი ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანებს მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარგანწყობას და რასიზმს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმსა და სექსიზმს (ILGA EUROPE, glossary).

[23] იხ: OSCE/ODIHR-ის განმარტება, ხელმისაწვდომია:: https://hatecrime.osce.org/what-hate-crime,განახლებულია: 21.09.2021

[24] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53

[25] იხ: Council Of Europe-ის განმარტება, ხელმისაწვდომია:: https://www.coe.int/en/web/freedom-expression/committee-of-ministers-adopted-texts/-/asset_publisher/aDXmrol0vvsU/content/recommendation-no-r-97-20-of-the-committee-of-ministers-to-member-states-on-hate-speech-?_101_INSTANCE_aDXmrol0vvsU_viewMode=view, განახლებულია: 21.09.2021 n

[26] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24

[27] იხ. ILGA EUROPE-ის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი.

[28] იხ: კოალიცია თანასწორობისთვის განმარტება, პარ: III , ხელმისაწვდომია:: http://equalitycoalition.ge/article/40, განახლებულია: 21.09.2021

პრობლემური ტერმინოლოგია და მათი ეთიკური გადაწყვეტა

დაუშვებელია შემდეგი ტერმინების გამოყენება	**უმჯობესია შემდეგი ტერმინებით ჩანაცვლება**
× პრობლემურია ჟურნალსიტურ პროდუქტში შემდეგი ტერმინების გამოყენება; „ტრანსგენდერები“ „ტრანსი“ ან „ტრანსგენდერი“.[29]	✓ ჟურნალისტმა უნდა გამოიყენოს შემდეგი ტერმინი: ტრანგენდერი კაცი/ქალი/ადამიანები.
× დაუშვებელია ისეთი ტერმინის გამოყენება, როგორიც არის „სქესის შეცვლა“. ეს ტერმინი შეუსაბამოა/პრობლემურია იმის გამო, რომ მოიცავს აზრს, რომელიც რაღაცაში „ჩარევას“, „პრობლემის გამოსწორებას“ გულისხმობს. აგრეთვე, დაუშვებელია ტერმინების გამოყენება - „სქესის შეცვლის ოპერაცია“ ან „ოპერაციამდე“ და „ოპერაციის შემდეგ“.[30]	✓ ეთიკურია ტერმინის გამოყენება - ტრანზიცია.
× დაუშვებელია, რომ ჟურნალისტმა გამოიყენოს შემდეგი ფრაზა - „აღიარებს რომ გეია/ლესბოსელია“ და ა.შ. ასეთი ფრაზის გამოყენება იწვევს სირცხვილის, დანაშაულის და უხერხულობის განცდას.[31]	✓ უმჯობესია შემდეგი ფრაზის გამოყენება: ის არის ღიად გეი, ღიად ლესბოსელი და ა.შ.
× შეუსაბამოა/პრობლემურია შემდეგი ტერმინების გამოყენება: „დაბადებულია“ ქალად/კაცად; ან „გახდა“ ქალი/კაცი, აგრეთვე -	✓თუ არესბობობს ტრანზიციამდე პერიოდის დაკონკრეტების აუცილებლობა მაშინ, ეთიკური გამოსავალი იქნება, რომ მედიამ გამოიყენოს შემდეგი ტერმინი: დაბადებისას მინიჭებული ჰქონდა მამრობითი ან მდედრობითი სქესი.

[29] იხ: GLAAD-ის მიერ ტრანსგენდერი ადამიანების გაშუქების რეკომენდაციები, ხელმისაწვდომია:. https://www.glaad.org/reference/transgender, განახლებულია: 21.09.2021
[30] იქვე
[31] იქვე

„ბიოლოგიურად“ ქალია/კაცია.[32]	
× მედიამ არ უნდა გამოიყენოს ტერმინი „ჰომოსექსუალი“.[33]	✓ უმჯობესია შემდეგი ტერმინების გამოყენება: გეი (მამაკაცი) / ლესბოსელი (ქალი) ან ქვიარი.
× მედიამ არ უნდა გამოიყენოს ტრანსგენდერი პირის დაბადებისას მინიჭებული სახელი.[34]	✓ უნდა მოხდეს ტრანსგენდერი პირის მიერ არჩეული სახელის ხსენება. ხშირად, ტრანსგენდერ ადამიანებს არ აქვთ საშუალება რომ კანონიერად შეიცვალონ სახელი, თუმცა ეს ჟურნალისტს არ აძლევს უფლებას, რომ ის ადამიანი პირადობის მოწმობაში ჩაწერილი სახელით მოიხსენიოს. უნდა მოხდეს ტრანსგენდერი პირის მიერ არჩეული სახელის გამოყენება.

მედიაში გავრცელებული ზოგიერთი ნეგატიური სტერეოტიპი

× ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სტერეოტიპის თანახმად გარკვეული ჯგუფები „ჰომოსექსუალობის პროპაგანდას“ ეწეოდნენ.

✓ ფაქტია, რომ სექსუალური ორიენტაცია არ უკავშირდება არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და არც აქტივიზმს. სამედიცინო და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით „ჰომოსექსუალობის პროპაგანდა“ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ადამიანს თვითნებურად არ შეუძლია სექსუალური ორიენტაციის შეცვლა. „თუნდაც ძალიან რომ მოუნდეს ჰეტეროსექსუალ ადამიანს ჰომოსექსუალად გადაქცევა, არაფერი გამოუვა“ (ი. ვაჭარაძე, იდენტობა, შესავალი ლგბტ ჟურნალისტიკაში, 2013).[35]

---

[32] წყაროდ გამოყენებულია ETHOS Project-ის კვლევა Media reporting and Reference guide on LGBT Issues, Athens, 2019, გვ. 32, იხ. https://www.ethos-project.eu/wp-content/uploads/2019/06/Media-reporting-and-reference-guide-on-LGBT-issues.pdf.

[33] იხ. ILGA EUROPE-ის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი.

[34] წყაროდ გამოყენებულია GLAAD-ის მიერ ტრანსგენდერი ადამიანების გაშუქების რეკომენდაციები. იხ. https://www.glaad.org/reference/transgender

[35] ვაჭარაძე, შესავალი ლგბტ ჟურნალისტიკაში, 2013.

× სტერეოტიპი - სიძულვილის ენის გამავრცელებელი ჯგუფები ლგბტქ ადამიანებს „ავადმყოფებად“ მოიხსენიებენ.

✓ფაქტი - ჯერ კიდევ 1973 წელს „ამერიკელ ფსიქიატრთა ასოციაციამ“ „ჰომოსექსუალობა“ დაავადებების ჩამონათვალთა სიიდან[36] ხოლო, 1990 წლის 17 მაისში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) მენტალური გადახრების სიიდან ამოიღო (IDAHOTB – International Day Against Homophobia, Transphobia & Biphobia. N.d. “What Is May 17th”).[37]

× სტერეოტიპი - „ ტრანსგენდერ ადამიანად ყოფნის ერთადერთი სწორი გზა არის სამედიცინო ჩარევა“.

✓ფაქტი - გენდერული იდენტობა არის გზა, რომლითაც ადამიანები გამოხატავენ თავიანთ გენდერს და არ არის დამოკიდებული ტრანზიციასთან დაკავშირებულ პერიოდთან.

„ტრანსგენდერთა თანასწორობის ეროვნული ცენტრის“ მიხედვით, ზოგიერთ ტრანსგენდერ ადამიანს სურს, რომ ტრანზიცია სამედიცინო გზით გაიაროს, შეცვალოს პირადობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, თუმცა ყველა შემთხვევაში ასე არ ხდება. ამავდროულად, ადამიანს შეიძლება სურდეს სამედიცინო გზით ტრანზიციის გავლა, თუმცა ფინანსური რესურსები, ჯანმრთელობასთან ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, არ აძლევდეს ამის საშუალებას (National Center for Transgender Equality, 2016).[38]

× სტერეოტიპი - აივ ინფექცია/შიდსი არის დაავადება, რომელიც მხოლოდ ლგბტქ ადამიანებს ემართებათ.

✓ფაქტი - შიდსით შეიძლება დაავადდეს ნებისმიერი ადამიანი. დაავადება გადამდებია დაუცველი სექსის დროს, თუ ერთ-ერთი სექსუალური პარტნიორი უკვე არის შიდსით დაავადებული. ეს შეიძლება მოხდეს როგორც ერთი და იგივე სქესის პარტნიორებს, ასევე განსხვავებული სქესის სექსუალურ პარნტიორებს შორის (World Health Organization, Gender, Equality and Human Rights, 2016).[39] აგრეთვე, ინფიცირებულ სისხლთან ექსპოზიციით - აივ ინფიცირებული ინექციების და სხვა ინვაზიური მანიპულაციებისას არასტერილური, დაბინძურებული, სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებით.

---

[36] Jack Drescher, Out of DSM: Depathologizing Homosexuality, 4.12.2015, პარ.. I, ხელმისაწვდომია: https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4695779/, განახლებულია: 21.09.2021

[37] იხ: IDAHOTB – International Day Against Homophobia, Transphobia & Biphobia. N.d. “What Is May 17th”,ხელმისაწვდომია:. https://may17.org/about/, განახლებულია: 21.09.2021

[38] წყაროდ გამოყენებულია National Center for Transgender Equality, 9/07/2016, აბზ. 3, იხ. https://transequality.org/issues/resources/understanding-transgender-people-faq;

[39] World Health Organization, Gender, Equality and Human Rights, 2016, 7, ხელმისაწვდომია:. http://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/255340/WHO-FWC-GER-16.2-eng.pdf?sequence=1&ua=1, განახლებულია: 21.09.2021

✗ სტერეოტიპი - "არ მესმის ლგბტქ საზოგადოების და მათი „პრაიდთან" დაკავშირებული ღონისძიებების. „პრაიდი" მხოლოდ ლგბტქ ადამიანებისთვის არის, რომლებსაც საზოგადოების დანარჩენი წევრების პროვოცირება სურთ და მათი დღის წესრიგის შეცვლა".

✓ ფაქტი - პრაიდთან დაკავშირებული ღონისძიებები არის ყოველწლიური დემონსტრაცია ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ და ლგბტქ უფლებების დასაცავად. პირველი ღონისძიება ჩატარდა 1970 წელს, რომელიც იმ ადამიანების ხსოვნის პატივის მიგებისთვის გაიმართა, რომლებიც 1969 წელს პოლიციის ბრუტალურ ქცევას ემსხვერპლნენ. 1969 წელს მოხდა ე.წ სთოუნვოლის ამბოხი, რომელიც ქვიარ უფლებების დაცვასთან დაკავშირებით დაწყებული მოძრაობის კატალიზატორი გახდა.

„სთოუნვოლი" იყო ბარი ნიუ-იორკში, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ გეი, ბისექსუალი, ლესბოსელი და ტრანსგენდერი ადამიანები. ამ დროს ყველა შტატში, ილინოისის გარდა, „ჰომოსექსუალური ქცევა" არალეგალურად ითვლებოდა. ბარები და რესტორნები შეიძლება დაეხურათ მხოლოდ იმის გამო, რომ იქ დასაქმებული იყო ლგბტქ თემის წევრი.

პოლიციის მიერ ბარების შემოწმებას რეგულარული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ 1969 წლის 28 ივნისის ღამე მაინც განსხვავებული აღმოჩნდა (Sarah Pruitt, What Happened at the Stonewall Riots, 2020). [40] როდესაც პოლიცია დაპატიმრებულებს მანქანაში სვავდა, მიმდებარე სახლებიდან მოსახლეობის ნაწილმა პოლიციის მისამართით, პროტესტის ნიშნად, სხვადასხვა საგნის სროლა დაიწყო. ეს სცენა მოულოდნელად გადაიზარდა ხუთდღიან უწყვეტ პროტესტში. მოგვაინებით დაიწყო უფრო ფართო მოძრაობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც უამრავი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ლგბტქ უფლებების დაცვის, პატივისცემის, მათი უფლებების აღიარების და ინტეგრაციის მიზნით. იმავე პერიოდში ჩამოყალიბდა და განვითარდა ქუჩის მსვლელობებისა და მარშების ჩატარების ტრადიცია და ლგბტქ თემის სოციალური მხარდაჭერის პრაქტიკას დაედო საფუძველი.

[40] Sarah Pruitt, What Happened at the Stonewall Riots, 01.01.2020, ხელმისაწვდომია: https://www.history.com/news/stonewall-riots-timeline, განახლებულია: 21.09.2021

ზოგადი რჩევები ლგბტქ საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით

- სტატია თუ სიუჟეტი უნდა მოიცავდეს იმ ადამიანების პერსპექტივას, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ საკითხი. თუ ჟურნალისტი წერს ლგბტქ საკითხთან დაკავშირებით, მასალაში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი თემის წევრის და ლგბტქ აქტივისტების ხედვა (GIFFORDS, 2021);[41]
- ჟურნალისტები უნდა მოერიდონ ცრუ ინფორმაციის, ან სტერეოტიპების გავრცელებას (GIFFORDS, 2021); [42]
- ჟურნლისტმა ისე უნდა მოიხსენიოს ლგბტქ პირი, როგორც ამას თავად ეს ადამიანი ითხოვს (E.TH.O.S, 2019);[43]
- იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ სტატიაში/სიუჟეტში იდენტიფიცირების შემთხვევაში შესაძლოა საფრთხე შეექმნას ლგბტქ თემის წევრს, მედიამ ყველაფერი უნდა გააკეთოს თემის წევრის ვინაობა და სხვა დეტალების ანონიმურობის დასაცავად=;
- ლგბტქ თემის წევრებს ჟურნალისტებმა შეკითხვები ყურადღებით უნდა დაუსვან და გამოიჩინონ პატივისცემა. განსაკუთრებული სიფრთხილით ჟურნალისტები სამედიცინო ჩარევებთან დაკავშირებულ შეკითხვებს უნდა მოეკიდონ. შეკითხვის დასმამდე კარგი იქნება, თუ ჟურნალისტი თავად გააცნობიერებს რას მისცემს მაყურებელს, მკითხველს ან მსმენელს ამა თუ იმ ინფორმაციის ცოდნა. ასევე, რამდენად ესიამოვნებოდა კონკრეტული შეკითხვის მოსმენა რესპონდენტის ადგილზე თავად რომ ყოფილიყო (E.TH.O.S, 2019).[44] ეთიკური სტანდარტების მიხედვით, ჟურნალისტებმა არ უნდა კითხონ ტრანსგენდერ ადამიანებს ქირურგიულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ან სხვა სამედიცინო ჩარევების შესახებ;
- თუ ჟურნალისტი ინტერვიუს ტრანსგენდერი ადამიანისგან იღებს არ უნდა ჰკითხოს მას, რა იყო მისი „წინა სახელი“. ეს არარელევანტური ინფორმაციაა, ასევე კომუნიკაციის უხეშ და დისკრიმინაციულ ფორმად ითვლება (GLAAD,Glossary);[45]
- ისევე როგორც საბოლოო პროდუქტში, ინტერვიუმდე და ინტერვიუს დროსაც ჟურნალისტი უნდა მოერიდოს სტერეოტიპების გამოყენებას. მაგალითად, არ უნდა უთხრას ლესბოსელ ქალს, რომ ის ძალიან ლამაზი და ქალურია. ასევე, არ უნდა უთხრას ტრანსგენდერ ადამიანს, რომ ის გამოიყურება ზუსტად ისე, როგორც ქალი ან მამაკაცი (E.TH.O.S, 2019);[46]
- მედიამ ლგბტქ თემთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება და ლგბტქ თემის წევრების ხილვადობა პრიორიტეტად უნდა აქციოს;

---

[41] GIFFORDS,Guiding Principles for Inclusive, Accurate and Unbiased Coverage, ხელმისაწვდომია: http://tellthewholestorynow.com/wp-content/uploads/2021/07/NARAL-Guiding-Principles-for-Inclusive-Accurate-and-Unbiased-Coverage.pdf, განახლებულია: 21.09.2021

[42] იქვე

[43] ETHOS Project, Media reporting and Reference guide on LGBT Issues, Athens, 2019, 46, ხელმისაწვდომია: https://www.ethos-project.eu/wp-content/uploads/2019/06/Media-reporting-and-reference-guide-on-LGBT-issues.pdf, განახლებულია: 21.09.2021

[44] იხ. იქვე.

[45] GLAAD-ის მიერ ტრანსგენდერი ადამიანების გაშუქების რეკომენდაციები, პარ. XXVIII, ხელმისაწვდომია: https://www.glaad.org/reference/transgender, განახლებულია: 21.09.2021

[46] ETHOS Project, Media reporting and Reference guide on LGBT Issues, Athens, 2019, 47, იხ. https://www.ethos-project.eu/wp-content/uploads/2019/06/Media-reporting-and-reference-guide-on-LGBT-issues.pdf;

- ჟურნალისტებისთვის მნიშნელოვანი უნდა იყოს ლგბტქ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ამის გაკეთება მათ ქვეყანაში ადამიანების უფლებების მდგომარეობის შესწავლით შეუძლიათ. სახელდობრ, შეუძლიათ გაარკვიონ: ლგბტქ ადამიანების მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ფაქტები, სიძულვილის ენის ფაქტები და დისკრიმინაცია. ამგვარი გაშუქება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს;
- მედია მენეჯერებმა ლგბტქ აქტივისტებს უფასო სივრცე უნდა შესთავაზონ ლგბტქ საკითხების მხარდასაჭერად. ლგბტქ აქტივისტებს მეტი შესაძლებლობა უნდა მიეცეთ ისაუბრონ თემის წევრების პრობლემების, გამოწვევების და სხვ. მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ;
- მედიას უნდა ახსოვდეს და პატივი სცეს ისეთ დღეებს როგორიც არის საერთაშორისო დღე ჰომოფობიის, ტრანსფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ (17 მაისი), ტრანსგენდერი ადამიანების ხილვადობის საერთაშორისო დღე (31 მარტი), ლესბოსელთა ხილვადობის დღე (16 აპრილი) და სხვ. მსგავს თარიღებს. ლგბტქ თემის წევრებისთვის მნიშნელოვანი თარიღების მიმართ პატივისცემის გამოხატვა ჟურნალისტებს სიუჟეტის/სტატიის მომზადებით შეუძლიათ. ასევე განსაკუთრებით ასეთ დღეებში უნდა დაუთმონ მეტი სივრცე ლგბტქ თემის წევრებსა და აქტივისტებს;
- ჟურნალისტები მუდმივად უნდა ესწრაფვოდნენ ლგბტქ საკითხების მიმართ ცნობიერების ამაღლებას. თუ მათ არ იციან რაიმე კონკრეტული ფაქტის ან ტერმინის შესახებ, უბრალოდ უნდა ჰკითხონ კომპეტენტურ პირებს. შესაბამისად, მნიშნელოვანია მედიის წარმომადგენლებს და ლგბტქ აქტივისტებს შორის არსებობდეს მჭიდრო კავშირი.

ლგბქტ თემთან დაკავშირებული საკითხის ვიზუალიზაცია

ლგბტქ საკითხების გაშუქების დროს ჟურნალისტები ყურადღებით უნდა მოეკიდონ მასალის ვიზუალურ მხარეს.

ხშირად, როცა მედია ტრანსგენდერ ადამიანებს აშუქებს, აქვეყნებენ მათ ფოტოებს ტრანზიციამდე და ტრანზიციის შემდეგ (ე.წ. before-after ფოტოები). ჟურნალისტებმა თავი უნდა შეიკავონ ამგვარი შედარების და ზოგადად ტრანზიციამდე პერიოდის ფოტოების ჩვენებისგან. მსგავსი ვიზუალური მასალა არ ატარებს საინფორმაციო ღირებულებას და ის მხოლოდ აუდიტორიის მოზიდვას და რეიტინგის მოპოვებას ისახავს მიზნად (E.TH.O.S, 2019). [47]

გარდა ამისა, მედიამ თავი უნდა შეიკავოს სტერეოტიპული ხასიათის ფოტოების გამოქვეყნებისგან. ტრანსგენდერი ადამიანების ისტორიის თხრობის დროს მედიაში ისეთი ფოტოები ვრცელდება, სადაც ტრანსგენდერი ადამიანები დიდი დოზით მაკიაჟით ან ბრჭყვიალა სამოსით არიან წარმოდგენელი. ამასაც, ისევე როგორც

[47] იქვე, 46

ტრანზიციამდე და შემდგომ ფოტოებს აუდიტორიის მოზიდვისთვის იყენებენ, თუმცა ეს რეკომენდირებული არ არის.

მედიის წარმომადგენლებმა კარგად უნდა გააცნობიერონ ერთი რამ „იყო ტრანსგენდერი ადამიანი, ეს არ ნიშნავს მხოლოდ ვიზუალურ მხარეს, არამედ ტრანსგენდერ ადამიანად ყოფნა უამრავ სირთულესთან არის დაკავშირებული“. ასეთი ზედაპირული გაშუქების ნაცვლად, GLAAD მედიას სთავაზობს, რომ მათ ყურადღება გაამახვილონ, მაგალითად, დისკრიმინაციაზე და სიღარიბეზე, რაც რეალურად არის პრობლემური და რაც გავლენას ახდენს ტრანსგენდერი ადამიანების ცხოვრებაზე (GLAAD, 2016).[48]

ჟურნალისტური პროდუქტის კონტექსტი

სწორი ტერმინოლოგიის და შესაბამისი ვიზუალური მასალის გარდა, ლგბტქ საკითხის გაშუქების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რაზე გაამახვილებენ ჟურნალისტები ყურადღებას. მათ კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ლგბტქ საკითხების გაშუქების დროს კონტექსტს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ჟურნალისტურ მასალას საზოგადოების ნაწილის მხრიდან სტიგმატიზებული ჯგუფის წევრების ბედზე გავლენის მოხდენა შეუძლია დადებითი ან უარყოფითი თვალსაზრისით.

კონტექსტზე საუბრის დროს მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ რთული სოციალური საკითხების გაშუქების დროს ჟურნალისტებმა მოვლენების შესახებ მშრალად არ უნდა ისაუბრონ. ფაქტების შავ-თეთრ ფერებში წარმოდგენა არ შეესაბამება ლგბტქ საკითხების გაშუქების საერთაშორისო სტანდარტებს.

GLAAD-ის მიხედვით, თუ ტრანსგენდერი ადამიანი მასზე განხორციელებული ძალადობის დროს იყო რთულ და უიმედო მდგომარეობაში, მაშინ ჟურნალისტები მხოლოდ ძალადობის შესახებ კი არ უნდა მოყვნენ, არამედ უნდა წარმოადგინონ შესაბამისი კონტექსტი. მაგალითად, უნდა გაარკვიონ, იყო თუ არა ეს ტრანსგენდერი ადამიანი უიმედო მდგომარეობაში; როგორ პირობებში ცხოვრობდა და ა.შ (GLAAD, Hate Crimes).[49]

როდესაც ჟურნალისტი ძალადობას აშუქებს, უნდა წარმოადგინოს ძალადობის სპეციფიკა. მედიას შეუძლია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს

---

[48]GLAAD, GLAAD Media reference guide, October, 2016, 18, პარ: V, ხელმისაწვდომიაი: https://www.glaad.org/sites/default/files/GLAAD-Media-Reference-Guide-Tenth-Edition.pdf, განახლებულია: 21.09.2021

[49] GLAAD, Focus: Hate Crimes, პარ; III. ხელმისაწვდომია: https://www.glaad.org/reference/hatecrimes, განახლებულია: 21.09.2021

საზოგადოების ცნობიერების განსაზღვრაში და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღმოფხვრასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ამოქმედებაში. სწორ და ინკლუზიურ გაშუქებას შეუძლია კანონმდებლობის რეალური ამოქმედების ან უკეთესად მოქმედებისთვის ბიძგის მიცემა. რაც უფრო დეტალურად და სწორად გააშუქებს ჟურნალისტი ძალადობის სპეციფიკას, მით მეტია შანსი, რომ გამოძიება უფრო გამჭვირვალედ წარიმართოს და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ირგვლივ მოხდეს მეტი მსჯელობა (GLAAD, Hate Crimes). [50]

ლგბტქ საკითხის გაშუქების დროს ბალანსის დაცვასთან დაკავშირებული რჩევები

ლგბტქ თემთან დაკავშირებული საკითხების ეთიკურად გაშუქების თვალსაზრისით, ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას ბალანსის დაცვა წარმოადგენს.

მედია ლგბტქ თემთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების დროს, ხშირად ბალანსის დაცვის ე.წ რაოდენობრივ პრინციპს მიმართავს. აღნიშნული იმაში გამოიხატება, რომ ლგბტქ აქტივისტისების პოზიცია გადაცემებში იმავე დოზით არის ნაჩვენები რა დოზითაც ჰომოფობიასა და სიძულვილის ენის გამოიყენებას ეთმობა ადგილი. ეს კი არ შეესაბამება ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს, მათ შორის, ლგბტქ თემის გაშუქებასთან დაკავშირებით არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

ბალანსი არ არის რაოდენობრივი საკითხი და ჟურნალისტებმა ის ღირებულებრივ კონტექსტში უნდა განიხილონ. ამაზე მიუთითებს დიდი ბრიტანეთის საკომუნიკაციო სერვისების მარეგულირებელი ორგანო (OFCOM). OFCOM-ის განმარტებით, ჟურნალისტებმა „ჯეროვანი მიუკერძოებლობა“ უნდა დაიცვან (OFCOM, 2021).[51] აქ საკვანძო სიტყვა „ჯეროვანი“„ადეკვატურის“ ან „შესაბამისის“ სინონიმია (მედიაჩეკერი, 2021).[52] გაშუქება არ იქნება ადეკვატური, თუ ლგბტქ თემის პრობლემების და ჰომოფობიის თანაბარი ზომით ჩვენება მოხდება.

ლგბტქ თემის წარმომადგენლებზე საუბრისას ხელისუფლების ან სამღვდელოების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები თუ სხვა პირები ხშირად იყენებენ

---

[50] იქვე,პარ: IV

[51] OFCOM, Section Five: Due impartiality and Due accuracy, 5/01/2021, ხელმიისაწვდომია: https://www.ofcom.org.uk/tv-radio-and-on-demand/broadcast-codes/broadcast-code/section-five-due-impartiality-accuracy, განახლებულია: 21.09.2021

[52] ხელმისაწვდომია: https://www.mediachecker.ge/ka/blogio/article/88414-nino-danelias-khuthi-rcheva-rogor-gavashuqoth-ghirsebis-marshthan-dakavshirebuli-dzaladobrivi-eqstremizmi, განახლებულია: 21.09.2021

შეურაცხმყოფელ ტერმინებს და გამონათქვამებს. ეს შეურაცხმყოფელი ფრაზები ციტატის სახით არ უნდა მოხვდეს ჟურნალისტის მიერ მომზადებულ მასალაში.

მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებს მიუთითებს, რომ ასეთ დროს გამოიყენონ პერიფრაზი (მედია მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2004).[53] ისეთ შემთხვევაში კი, როცა გარკვეული მიზეზების გამო პერიფრაზის გამოყენება ვერ ხერხდება და შესაბამისად გადაცემაში სიძულვილის ენის შემცველი ან ჰომოფობიური ციტატა ვრცელდება (ეს შეიძლება გამოწვეული იყოს პირდაპირი ეთერით), ასეთ დროს, ჟურნალისტმა რესპონდენტს სიტყვა უნდა გააწყვეტინოს. ამასთან, უნდა აღნიშნოს, რომ ϰგუფის წარმომადგენლები, რომელთა მიმართაც კონკრეტული სიტყვები იქნა ნათქვამი, ამას შეურაცხმყოფელად და გამომწვევად მიიჩნევენ (მედია მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2004).[54]

პრაიდის გაშუქებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

GLAAD ჟურნალისტებს ურჩევს[55] რომ პრაიდთან დაკავშირებული ღონისძიებების პერიოდში უფრო მეტი ყურადღება გაამახვილონ ლგბტქ საკითხების ადვოკატირებაზე, აჩვენონ ლგბტქ საზოგადოების მრავალფეროვნება, აჩვენონ თემის მიღწევები ან პირიქით გარკვეულ საკითხებში მათი მდგომარეობის გაუარესების ფაქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (GLAAD, PRIDE month resource kit for journalsits) .

პრაიდთან დაკავშირებული ღონისძიებების ისტორია იწყება 1969 წლიდან ე.წ „სთოუნვოლის ამბოხის“ შემდეგ. მას შემდეგ აქტივისტები, თემის წევრები და მათი მხარდამჭერები ყველა ქვეყანაში ივნისის თვეში მართავენ პრაიდის მხარდამჭერ ღონისძიებებს.

ამ ღონისძიებების გაშუქებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს თემის წევრების მიმართ ცნობიერების ამაღლებას და ემპათიის გაჩენას.

- ჟურნალისტებმა ბევრი ადამიანის კომენტარი უნდა ჩაწერონ პრაიდის მოვლენებთან დაკავშირებთ. ესენი უნდა იყვნენ აქტივისტები, თემის წევრები და მათი მხარდამჭერი ადამიანები.

---

[53] მედია მრავალფეროვნების ინსიტუტი, მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელო, 2004 წელი,116, ხელმისაწვდომია: https://www.media-diversity.org/additional-files/documents/A%20Guides/MDI%20Reporting%20Diversity%20manual/Reporting%20Diversity%20Manual%20[KA].pdf ,განახლებულია: 21.09.2021

[54] იქვე

[55] ხელმისაწვდომია: https://www.glaad.org/publications/pridekit, განახლებულია: 21.09.2021

- უნდა გაშუქდეს ისეთი საკითხები როგორიცაა: დისკრიმინაცია, სიძულვილის ენა, ქორწინება და სხვ. ლგბტქ საზოგადოებისთვის აქტუალური თემები.
- პრაიდის გაშუქების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს თემის მრავალფეროვნებაზე და იმ მნიშვნელოვან ცვლილებებზე, რომლებსაც სხვადასხვა აქტივისტები თუ ორგანიზაციები აკეთებენ ლგბტქ თემის მიმღებლობისთვის.
- პრაიდთან დაკავშირებული ღონისძიებები ხშირად არის ფერადი, თუმცა GLAAD ჟურნალისტებს მოუწოდებს ყურადღება გაამახვილონ პიროვნებებზე და არა მხოლოდ ამ ზოგადო ტენდენციაზე.
- არ უნდა გავრცელდეს ისეთი ფოტოები რაც ლგბტქ თემის წევრების მარგინალიზაციას გამოიწვევს. მედიამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ არ გაამყაროს ისედაც არსებული სტიგმა და თემის წევრების მიმართ მცდარი წარმოდგენები არ შექმნას.
- მნიშვნელოვანია ჟურნალისტებმა აუდიტორიას მოუთხრონ, როგორ განვითარდა პრაიდთან დაკავშირებული ღონისძიებები ქვეყანაში.
- ჟურნალისტებმა უნდა დაწერონ სტატიები პრაიდის ორგანიზატორების, მისი სპონსორებისა და მონაწილეობის მონათხრობის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაზე აქტუალური საკითხები უნდა წამოწიონ წინ.
- ჟურნალისტებმა ინტერვიუ უნდა ჩაწერონ პრაიდის მონაწილეებთან იმასთან დაკავშირებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათთვის პრაიდს.

ლგბტქ საკთხების გაშუქების საერთაშორისო პრაქტიკა

ლგბტქ საკითხების გაშუქება ნიუ-იორკერის მიერ (THE NEW YORKER)

ჟურნალი ნიუ-იორკერი პირველად 1925 წელს გამოიცა. დღეს ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მედიაა და გამოირჩევა განსაკუთრებული სიღრმისეული გაშუქების სტილით.

ისევე როგორც ყველა დანარჩენ საკითხს, ლგბტქ თემსაც ნიუ-იორკერი სიღრმისეულად აშუქებს. არც ერთ სტატიაში არ ხდება სიძულვილის ენის უცვლელი ციტირება და თუ ასეთი მოსაზრებების დაფიქსირება მაინც აუცილებელია, რადგან ეს აზრი ეკუთვნის რომელიმე საჯარო მოხელეს ან სხვა პირს, ჟუნალისტები მის პერიფრაზს აკეთებენ.

ნიუ-იორკერი აუდიტორიას არასდროს სთავაზობს კონკრეტული ამბის შესახებ ინფორმაციას მხოლოდ შავ-თეთრ ფერებში, არამედ ჟურნალისტები მკითხველს მუდმივად მოუთხრობენ მნიშვნელოვანი და საინტერესო კონტექსტის შესახებ.

2017 წლის 26 ივნისს ჟურნალ ნიუ-იორკერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „აკრძალული ცხოვრება“, რომელმაც 2018 წელს GLAAD-ის ჯილდო მოიპოვა ნომინაციაში - წლის საუკეთესო სტატია (Newyorker, 2017) .[56]

სიღრმისეული სტატია მკითხველს მოუთხრობს ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში მცხოვრები გეი მამაკაცის ალის ცხოვრების შესახებ.

სტატია ალის ისტორიით იწყება. ის თავად აცნობს მკითხველს საკუთარ თავს. ამბობს, რომ წლებია მხოლოდ კაცები იზიდავს, თუმცა ჩეჩნეთში მსგავსი ურთიერთობები ისჯება, ამიტომ იძულებულია დამალოს საკუთარი სექსუალური ორიენტაცია. სწორედ ამიტომ, ალიც და ჩეჩნეთში მცხოვრები სხვა გეი მამაკაცებიც, იძულებული არინ ქალებზე იქორწინონ. ალისაც ჰყავს ცოლი და ორი შვილი. თუმცა ჩეჩნეთის პოლიციას მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაცია მაინც არ გამოჰპარვია.

ალი იხსენებს როგორ დაურეკა ერთ დღეს პოლიციის ოფიცერმა. სატელეფონო საუბრიდან რამდენიმე წუთში კი სახლში მიაკითხეს და თავზე ტომარა ჩამოცმული ერთ-ერთ შენობაში მიიყვანეს, სადაც დაკითხვა მოუწყვეს. აინტერესებდათ იყო თუ არა გეი და ვინ იყვნენ მისი გეი მეგობრები.

ალიმ გამტაცებლებს უთხრა, რომ პირველად გაიგო იმის შესახებ, რომ ჩეჩნეთში თურმე „საერთოდ ცხოვრობენ ასეთი ადამიანები“ (იგულისხმება გეი მამაკაცები). რამდენიმე საათიანი დაკითხვის შემდეგ, ალის ჯერ დაანახეს როგორ აწამებდნენ სხვა ლესბოსელ და გეი ადამიანებს, შემდეგ კი ისიც აწამეს. მან რამდენიმე დღე უცნობი შენობის ერთ ბნელ ოთახში გაატარა საჭმელის და სასმელი წყლის გარეშე.

ნიუ-იორკერის ამ სტატიაში ალის მსგავს შემზარავ ისტორიებს ჩეჩნეთში მცოვრები სხვა ლგბტქ თემის წევრებიც ყვებიან. ისინი მუდმივ დევნას და ძალადობას განიცდიან, მათი სექსუალური ორიენტაციის და გენდერული გამოხატვის გამო. ეს ადამიანები ნიუ-იორკერის ჟურნალისტმა მოსკოვში გაიცნო.

ალიმ და მისმა რამდენიმე მეგობარმა რუსეთში არსებული ლგბტქ ორგანიზაციის დახმარებით მოახერხეს ჩეჩნეთიდან მოსკოვში გაქცევა. მოსკოვი მათთვის დროებითი სამალავია, სანამ სხვა უსაფრთხო ქვეყანაში გაქცევას შეძლებენ.

ჟურნალისტი ჩეჩნეთში მცხოვრები გეი კაცების გარდა, ლესბოსელი ქალების პრობლემებსაც განიხილავს. ჩეჩნეთში ქალების უფლებები კიდევ უფრო მეტად არის შეზღუდული, რის გამოც, ლესბოსელი ქალები უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან.

---

[56] ხელმისაწვდომია: https://www.newyorker.com/magazine/2017/07/03/the-gay-men-who-fled-chechnyas-purge, განახლებულია: 21.09.2021

მათ არ შეუძლიათ ქვეყნის დატოვება, რადგან ჩეჩნეთში ამისთვის ქალს მშობლების ნებართვა სჭირდება.

ტრაგიკული ისტორიების განხილვის შემდეგ, სტატიაში ამ ტრაგედიის მიზეზებია ახსნილი. მიზეზი კი ძალაუფლების მქონე პირების მიერ მმართველობის ისეთი რეჟიმის დამყარებაა, სადაც ადამიანებს ცხოვრება აკრძალული აქვთ. ჟურნალისტი ჩეჩნეთის მმართველობის რამზან კადიროვისეულ სტილს აკრიტიკებს და აქვე მნიშვნელოვან აქცენტს სვამს, - ამბობს, რომ კადიროვს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უჭერს მხარს. მაშა გესენი ჩეჩნეთს შემდეგნაირად აღწერს: „კადიროვის ჩეჩნეთი რუსეთის უფრო ექსტრემალური ვარიანტია“.

ჟურნალისტი ნიუ-იორკერის მკითხველს კიდევ ერთ მნიშვნელოვან აქცენტს სთავაზობს. იგი ამბობს, რომ ლგბტქ თემის წევრებისთვის რუსეთსა და ჩეჩნეთში ცხოვრების აკრძალვას ხელისუფლებასთან ერთად რელიგიის სახელითაც ახორციელებენ. რუსეთი - ქრისტიანობას იშველიებს, ჩეჩნეთში კი ამბობენ, რომ ლგბტქ ადამიანები ისლამის წინააღმდეგ მოქმედებენ.

ჟურნალისტმა სტატიაში შეცვალა ლგბტქ რესპონდენტების სახელები მათივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე. სახელების გარდა სტატიაში შეცვლილია სხვა მაიდენტიფიცირებელი დეტალებიც.

ნიუ-იორკერის სტატიის ძირითად ნაწილს თავად თემის წევრების მონათხრობი და მათი პერსპექტივადან დანახული ფაქტები იკავებს. ეთიკური სტანდარტების მიხედვით, ჟურნალისტებმა აუდიტორიას სწორედ ასე უნდა შესთავაზონ ლგბტქ თემის წევრების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია - მათივე პერსპექტივიდან.

ნიუ-იორკერის კიდევ ერთი სტატია[57] აფრიკაში, კერძოდ ნაირობში, ლგბტქ ადამიანების მდგომარეობას შეეხება. ნაირობში ლგბტქ ურთიერთობებს განიხილავენ დანაშაულად და ამგვარი კავშირები კრიმინალიზებულია. სტატიაში მოთხრობილია ერთ-ერთი აქციის შესახებ, რომელიც სასამართლოს წინ ლგბტქ ატივისტებმა გეი სექსის დეკრიმინალიზაციის საკითხის განხილვის დამთავრების შემდეგ გამართეს. სასამართლომ მორიგ ჯერზეც არ დააკმაყოფილა ლგბტქ ადამიანების მოთხოვნა ამგვარი ურთიერთობების დეკრიმინალიზაციის შესახებ.

ნიუ-იორკერის ჟურნალისტი ხაზს უსვამს ისეთ საკითხებს, როგორიც არის კენიაში ლგბტქ თემის მიმართ სიძულვილის გაჩენის საფუძვლები. სტატიაში საინტერესოდ არის განხილული ისტორიული ფაქტები ამ საკითხის ირგვლივ. კერძოდ, ჟურნალისტი წერს იმის შესახებ, რომ სანამ ქვეყანაში აღმოსავლეთ აფრიკის

[57] ხელმისაწვდომია: https://www.newyorker.com/news/news-desk/the-gay-rights-activists-hoping-for-a-legal-victory-in-kenya, განახლებულია: 21.09.2021

რელიგიური ლიდერები და ამერიკელი მისიონებრები გამოჩნდებოდნენ, მანამდე „ჰომოსექსუალობას“ განსხვავებულობად არავინ აღიქვამდა. რელიგური ლიდერების გამოჩენის შემდეგ კი ლგბტქ ადამიანებს დევნიან.

ამ ისტორიული კონტექსტის განხილვითა და ანალიზით, ჟურნალისტი მხოლოდ მშრალ ფატქებს არ წარმოადგენს. იგი არ ამბობს, რომ ერთ მხარეს დგანან აქტივისტები, ხოლო მეორე მხარეს რელიგიური ლიდერები და საზოგადოების ნაწილი, ამის ნაცვლად ავტორი მკითხველს წარმოუდგენს კონტექსტს. სტატიაში მოცემულია აქტივისტების კომენტარები, სადაც ისინი ყვებიან, რომ ქვეყანაში თანასწორობის მიღწევის იმედი მაინც არ დაუკარგავთ. აქტივისტების არაერთი კომენტარის ფონზე ამავე სტატიაში ბალანსის დაცვის მიზნით, ჟურნალისტი კვლევის შედეგებს იყენებს. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, კენიელების 90%-თვის ლგბტქ ურთიერთობები მიუღებელია. ჟურნალისტი არ ციტირებს კონკრეტულ ჰომოფობიურ გამონათქვამს და არც სიძულვილით გაჟღენთილი კომენტარები აქვს სტატიაში მოყვანილი. ლგბტქ პირების, აქტივისტებისა და სხვა მათი მხარდამჭერების გარდა სტატიაში მეორე მხარის პოზიციის საჩვენებლად გამოყენებულია მხოლოდ კვლევის შედეგები და პერიფრაზი. შესაბამისად, სიძულვილის ენა არაა პირდაპირ ციტირებული. ეს არის ლგბტქ თემთან დაკავშირებული საკითხების ეთიკურად გაშუქების და ბალანსის „ჯეროვნად“ დაცვის ნიმუში, რომელსაც ნიუ-იორკერი ყოველი ასეთი საკითხის გაშუქების დროს მიმართავს. ჯეროვანი ბალანსი არა რაოდენობრივი, არამედ ღირებულებითი საკითხია.

ტრანსგენდერ ადამიანების შესახებ - ნიო-იორკ თაიმსი (The New York Times)

ნიუ-იორკ თაიმსი არის ამერიკული ყოველდღიური გამოცემა, რომელიც ნიუ-იორკში 1851 წელს დაფუძნდა და მას შემდეგ არაერთი პულიცერის ჯილდო აქვს მიღებული, რაც ჟურნალისტიკაში ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს წარმოადგენს. ნიუ-იორკ თაიმსი არაერთხელ გამხდარა ლგბტქ თემების საუკეთესოდ გაშუქების გამო GLAAD-ის გამარჯვებული საუკეთესო სტატიის ნომინაციაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სვეტი[58] რომელსაც ნიუ-ორკ თაიმსი მთლიანად ტრანსგენდერ ადამიანებს უძღვნის. ამ სვეტში ასობით ტრანსგენდერი ადამიანი საკუთარი ისტორიის შესახებ მილიონობით მკითხველს უყვება (THE New York Times, 2015).

[58] ხელმისაწვდომია: https://www.nytimes.com/interactive/2015/opinion/transgender-today/stories/lana-moore, განახლებულია: 21.09.2021

ეს ისტორიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კვლავ ტრანსგენდერი ადამიანებისთვის არის, რადგან ყველა მსგავსი ისტორია შიშის დამარცხებისა და რთული პერიოდის მშვიოდობიანად გავლას ეხება. ერთი ადამიანის ასეთი ისტორია სხვისთვის შესაძლოა მნიშვნელოვანი სტიმული გახდეს.

17 წლის ტრანსგენდერმა გოგომ სუიციდის წინ ასეთი ჩანაწერი დატოვა - „ერთადერთი გზა რომ ჩემმა სულმა მშვიდად განისვენოს იქნება ის, რომ ტრანსგენდერ ადამიანებს ისე არ მოექცევიან როგორც მე მეპყრობოდნენ... გთხოვთ, გამოასწორეთ საზოგადოება“. ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორები ტრანსგენდერი ადამიანების შესახებ სპეციალური სვეტის შექმნის საჭიროებას ასე ხსნიან - „ისინი იმსახურებენ ერის წინაშე გამოსვლას, სადაც ემპათიის და მხარდაჭერის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია იქნება, ვიდრე სუიციდის წინ გაკეთებული ჩანაწერები“.[59]

ამ ასეულობით ბლოგში ტრანსგენდერი ადამიანები ყვებიან საკუთარ ისტორიებს იმის შესახებ თუ როგორ დაძლიეს შიში, როგორი იყო მათთვის ქამინგაუთი, რა სირთულეებს წააწყდნენ, მაგრამ მაინც გადალახეს ტრანზიციის პერიოდი.[60]

თითოეული ეს ისტორია, რომელიც ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ ემპათიის და მხარდაჭერის გამომხატველია, უდავოდ აყენებს ნიუ-იორკ თაიმსს იმ საუკეთესო მედიათა სიის სათავეში, რომლებმაც კარგად გაიაზრეს მედიის როლი ყველასთვის თანასწორი გარემოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით და საუბრის საშუალება მისცეს მათ „ვისი ხმაც იშვიათად ისმის“.

ლგბტქ საკითხთან დაკავშირებული ახალი ამბავი - ასოშიეიტიდ პრესი (AP)

ნიუ-იორკერის და ნიუ-იორკ თაიმსის გარდა, რომლებსაც თითქმის ყველა საკითხთან დაკავშირებით შეუძლიათ მოამზადონ ვრცელი და სიღრმისეული მასალა, არსებობს გამოცემები, რომლებსაც ფორმატი ასეთი ვრცელი მასალის მომზადების საშუალებას არ აძლევს. ასეთი ფორმატია ახალი ამბების გაშუქება.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ამბების გადმოცემა მოკლედ თხრობას მოითხოვს, ეთიკური მედია ლგბტქ საკითხებს ასეთ შემთხვევებშიც მნიშვნელოვანი კონტექსტით და აქცენტებით აშუქებს. „ასოშიეიტიდ პრესი“ არის დამოუკიდებელი მედია ორგანიზაცია, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით აშუქებს მიმდინარე ახალ ამბებს. AP 1846 წელს დაფუძნდა და დღეს ერთ-ერთ ყველაზე სანდო, ობიექტურ და მიუკერძოებელ საინფორმაციო წყაროდ ითვლება. ასოშიეიტიდ პრესისთვის ლგბტქ

---

[59] ხელმისაწვდომია: https://www.nytimes.com/2015/05/04/opinion/the-quest-for-transgender-equality.html, განახლებულია: 21.09.2021

საკითხების ეთიკური სტანდარტების დაცვით გაშუქება პრიორიტეტს წარმოადგენს. რასაც ისინი ყოველი სტატიით თუ იმ სარედაქციო გაიდლაინებით ადასტურებენ, რომელიც ლგბტქ თემთან დაკავშირებული ტერმინების დეტალურ განმარტებას იძლევა.

2021 წლის 27 ივლისს „ასოშიეიტიდ პრესმა“ გამოაქვეყნა სტატია[61] სათაურით „14 წლის ჰოლანდიელ გოგოზე თავდასხმა შეიძლება ლგბტქ საკითხს უკავშირდებოდეს“. „ასოშიეიტიდ პრესის“ ამ სტატიაში საუბარია იმაზე, რომ ამსტერდამში 14 წლის ჰოლანდიელ გოგოს სასტიკად გაუსწორდნენ. თავდასხმა ლგბტქ თემასთან იყო დაკავშირებული. გოგონას მამა ყვება, მისი შვილისგან გადმოცემულ ამბავს, რომლის მიხედვითაც, გოგონას კაფეში თავს დაესხა უცნობი მამაკაცი. კერძოდ, კაცი გოგონას გარეგნულად ახასიათებდა და აკრიტიკებდა. ეკითხებოდა - ბიჭი იყო თუ გოგო. რაზეც გოგონამ უპასუხა „რა მნიშვნელობა აქვს, მე ის ვარ ვინც ვარ და შენც შეგიძლია იყო ის, ვინც გინდაო“. ამ დიალოგის შემდეგ მამაკაცი არასრულწლოვანს ფიზიკურად გაუსწორდა. მნიშვნელოვანია, კონტექსტი რომლის გარეშეც ჟურნალისტი არ ტოვებს ამ მოკლედ გადმოცემულ ახალ ამბავს. კერძოდ, სტატიაში ჟურნალისტი მოვლენაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ სკოლებში უფრო მეტად უნდა გამახვილდეს ყურადღება ტოლერანტულობაზე სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული თვითგამოხატვის თუ სხვა მახასიათებლების მიმართ. ამ აზრის განსამტკიცებლად სტატიაში რამდენიმე ექსპერტის კომენტარია მოყვანილი (Associated Press, 2016).

ლგბტქ საკითხთან დაკავშირებული ახალი ამბავი ბიზნეს-მედიის ობიექტივში - CNBC

CNCB არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მედია ორგანიზაცია, რომელიც ბიზნესთან დაკავშირებულ ამბებს აშუქებს. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მედია შესაბამისი აქცენტებით, ეთიკური სტანდარტების დაცვით უყვება აუდიტორიას ლგბტქ თემთან დაკავშირებულ საკითხებს და საინტერესო კუთხეს სთავზობს მათ. CNBC-იმ 2018 წელს გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ბერმუდაში ერთი და იგივე სქესის პირებს შორის ქორწინების აკრძალვას შეეხებოდა. ჟურნალისტი აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინების აკრძალვას ბერმუდას ტურიზმის სექტორისთვის და საკრუიზო ინდუსტრიისთვის დიდი პრობლემების შექმნა და წელიწადში 431 მილიონი დოლარის ზარალის გამოწვევა შეუძლია.

ბერმუდამ 2018 წელს აკრძალა ერთსა და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინება. მანამდე კი, ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქორწინება ბერმუდას სასამართლოს

---

[61] ხელმისაწვდომია: https://apnews.com/article/europe-world-news-arrests-netherlands-amsterdam-01f59ff15be2f321a09837caf2d18e2d, განახლებულია: 21.09.2021

მიერ ლეგალურად იყო მიჩნეული. სწორედ ამ პერიოდში ბერმუდაში ტურიზმის სექტორი იმდენად განვითარდა, რომ ერთ წელში 693 000 ტურისტი ჩავიდა, რომლებმაც კუნძლზე 431 მილონი დოლარი დახარჯეს. ბერმუდას საკრუიზო ეკონომიკის განვითარდების მიზეზი, სწორედ კრუიზზე დაქროწინების უამრავი ლგბტქ მსურველი წყვილი იყო. ჟურნალისტს მოყვანილი აქვს ექსპერტების მოსაზრება, რომლებიც ამბობენ რომ ბერმუდასთვის ერთსა და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების აკრძალვა არის უკან გადადგმული ნაბიჯი (CNBC, 2018).[62] ეს სტატიაც GLAAD-ის ყოველწლიური დაჯილდოების ფინალისტია.

ლგბტქ საკითხთან დაკავშირებული სიუჟეტი - ტელეკომპანია ეი-ბი-სი (ABC)

სტატიების მომზადების დროს ჟურნალისტები ტერმინოლოგიას, აქცენტებს და კონტექსტს აქცევენ ყურადღებას. ხოლო, როცა საქმე ეხება სატელევიზიო სიუჟეტს ამ ყველაფერთან ერთად, მედიამ დამატებით ვიზუალური მხარეც უნდა გაითვალისწინოს. ABC (The American Broadcasting Company) არის ცნობილი ტელეკომპანია აშშ-ში. ABC-ის ერთ-ერთი შოუს Nightline-ის ეთერში გადიოდა სუჟეტების სერია სახელწოდებით “Trans and targeted”, რომელმაც 2021 წელს გაიმარჯვა GLAAD-ის საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტების ნომინაციაში. სიუჟეტი[63] ერთი ტრანსგენდერი ქალის მკვლელობის ისტორიას შეეხება. მულაიზა ბუქერი 22 წლის დალასელი ტრანსგენდერი ქალი იყო, რომელზეც ჯერ ფიზიკურად იძალადეს, მოგვიანებით კი ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. სიუჟეტი ტრანსგენდერი ქალის სიცოცხლეში გადაღებული ვიდეო მასალით იწყება, სადაც ჩანს ახალგაზრდა და ბედნიერი ქალი. ჟურნალისტი ტრანსგენდერი ქალის სწორედ ამ მხარეს უსვამს ხაზს სიუჟეტის დასაწყისში, ამბობს რომ ის იყო სიცოცხლით სავსე და სხვებისთვის მოტივაციის მიმცემი. ამავეს ამბობენ ტრანსგენდერი ქალის მეგობრები.

სიუჟეტში ნაჩვენებია მულაიზაზე თავდასხმის ამსახველი ვიდეო, სადაც ჩანს მოძალადის სახე და შემზარავი კადრები, რომელშიც ტრანსგენდერი ქალის მიმართ სასტიკი ძალადობაა აღბეჭდილი. ამ ძალადობის შემდე ტრანსგენდერმა ქალმა გადაწყვიტა ძალადობის წინააღმდეგ ხმა აემაღლებინა და რამდენიმე დღეში ტრანსგენდერი ადამიანების წინააღმდეგ არსებული ძალადობის გასაპროტესტებლად გამართულ აქციაზე გამოვიდა სიტყვით (ABC, 2019). ამ ამბიდან ერთ კვირაში მულაიზა საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს. სიუჟეტში აღწერილია, ტრანსგენდერი ქალების, განსაკუთრებით კი ფერადკანიანი ტრანსგენდერი ქალების,

---

[62] ხელმისაწვდომია: https://www.cnbc.com/2018/02/09/bermuda-same-sex-marriage-ban-means-trouble-for-tourism-cruise-ships.html, განახლებულია: 21.09.2021

[63] ხელმისაწვდომია: https://abcnews.go.com/US/trans-women-color-facing-epidemic-violence-day-fight/story?id=66015811&fbclid=IwAR3kqQjXGnn69S2HN_JwCCrCvXwxWRLtn06awTxosaTiTwqNDsF1vDBav5I, განახლებულია: 21.09.2021

გაუსაძლისი ყოფა. ისინი მუდმივად სიძულვილის სამიზნეები არიან. სიუჟეტის ავტორი ამბობს იმასაც, რომ მათ მიმართ საზოგადოების ნაწილი გულგრილია. მიუხედავად უდიდესი ტრაგედიისა, საზოგადოების რეაქცია არ იყო ისეთივე მძაფრი, როგორიც ეს სხვა ჯგუფის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში იქნებოდა. რამდენიმე თვის განმავლობაში, ABC-ის ჟურნალისტი მთელი აშშ-ის მასშტაბით მოგზაურობდა და ხვდებოდა სხვა ტრანსგენდერ ადამიანებს, იკვლევდა მათ პრობლემებს. ვიზუალური მასალისა და შესაბამისი აქცენტების ხაზგასმით, სიუჟეტის ნახვის შემდეგ, მაყურებლისთვის ნათელი ხდება როგორი მძიმე შედეგი შეიძლება მოჰყვეს, ერთი მხრივ, ძალადობას და მეორე მხრივ, საზოგადოების ე.წ „ნეიტრალური“ ნაწილის მხრიდან გულგრილობას. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტრაგიკული ისტორიების გაშუქების დროს, მედიას კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი კონტექსტის და აქცენტების წარმოდგენის თვალსაზრისით. ამასთან, ბუნებრივია რომ ამ სიუჟეტში ინტერვიუები ჩაწერილია მხოლოდ იმ ადამიანებთან, რომლებსაც უშუალოდ ეხებოდა ამბავი, ანუ ტრანსგენდერი ადამიანები და მათი უფლებების დაცვაზე მომუშავე რესპონდენტები.

ლგბტქ საკითხთან დაკავშირებული ჟურნალისტური გამოძიება- პროპუბლიკა (PROPUBLICA)

ვრცელი სტატიების, მოკლედ აღწერილი ახალი ამბების და სატელევიზიო სიუჟეტების გარდა, ლგბტქ თემთან დაკავშირებული საკითხები ჟურნალისტური გამოძიების ყურადღების ცენტრშიც ხშირად ხვდება. პროპუბლიკა არის დამოუკიდებელი მედია ორგანიზაცია, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებებს აკეთებს. ისინი მნიშნელოვანი საკითხების სიღრმისეულ ანალიზს, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას და საზოგადოების ნდობის უგულებელყოფას აშუქებენ. ჟურნალისტური გამოძიება,[64] რომელიც პროპუბლიკამ ლგბტქ თემთან, კერძოდ კი, ტრანსგენდერი ადამიანების პრობლემებთან დაკავშირებით გამოაქვეყნა GLAAD-ის ჯილდოს მფლობელია. ჟურნალსიტური გამოძიება შეეხება აეროპორტებში არსებულ კონტროლს, როცა ადამიანებს ე.წ სკანერში ატარებენ და ასე ამოწმებენ მიაქვთ თუ არა სხვა მგზავრებისთვის საფრთხის შემცველი რაიმე ნივთი (PROPUBLICA, 2019).

პროპუბლიკას ჟურნალსიტურ გამოძიებაში თხრობა იწყება ერთი ტრანსგენდერი ადამიანის მოგზაურობის ისტორიით. სანამ მგზავრი გაივლის სკანერს, ოფიცერმა უნდა დაარეგისტრიროს მისი სქესი. სქესის დაფიქსირება ვარდისფერი, ან ლურჯი ღილაკის მეშვეობით ხდება. თუ ოფიცერი დაინახავს, რომ მგზავრი ქალია დააჭერს ვარდისფერ ღილაკს, თუ კაცს ნახავს მაშინ - ლურჯ ღილაკს. სკანერიც ისეა

[64] ხელმისაწვდომია: https://www.propublica.org/article/tsa-transgender-travelers-scanners-invasive-searches-often-wait-on-the-other-side, განახლებულია: 21.09.2021

მოწყობილი, რომ ვარდისფერი ღილაკის შემთხვევაში მკერდის არეში იწყებს ორგანოს ძებნას. ლურჯი ღილაკის შემთხვევაში კი, მამაკაცის გენიტალიებს საზარდულის არეში ეძებს. 2017 წელს, ტრანსგენდერი ქალი სახელად ოლივია (სტატიაში მისი სახელი ტრანსგენდერი ქალის სურვილიდან გამომდინარე არის შეცვლილი) „ჰოლივუდის საერთაშორისო აეროპორტში“ სკანერში გაატარეს. როდესაც სკანერიდან გამოვიდა სამგზავრო უსაფრთხოების ადმინისტრაციის ოფიცერმა ოლივიას მასთან მოუხმო. პოლიციელმა უთხრა, რომ „რაღაც მიზეზი გამო“ უფრო ახლოდან დათვალიერება იყო საჭირო. ოლივიას, როგორც ტრანსგენდერ ქალს, აეროპორტში მანამდეც არაერთხელ მოუწია ე.წ ხელით დათვალიერების გავლა, თუმცა ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ოფიცერმა ის დახურულ ოთახში შეიყვანა. ოლივიამ პოლიციის ოფიცერს აუხსნა, რომ ის ტრანსგენდერი ქალი იყო და სთხოვა ქალ ოფიცერს შეემოწმებინა. მიუხედავად ამისა, მისი თხოვნა არ გაითვალისწინეს და ის პოლიციელმა კაცმა შეამოწმა. ჯერ კაბის აწევა მოსთხოვა, შემდეგ კი საცვლის გახდა.

ტრანსგენდერი ქალი ამ მოვლენის შემდეგ დიდი ხანი ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას გადიოდა და ვერ მოგზაურობდა. ეშინოდა, რომ ყოველი მისი მომდევნო მოგზაურობის დროს იგივე განმეორდებოდა. პროპუბლიკამ 174 სხვა ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანისგან მიიღო წერილი, რომლის მიხედვითაც მათ მგზავრთა უსაფრთხოების ოფიცრები შეურაცხმყოფელად ეპყრობოდნენ. ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების გარდა, ოფიცრებს უჩივიან შშმ პირები და ის ადამიანები, რომლებსაც რელიგია სხეულის დაფარვას სთხოვს. პროპუბლიკას ჟურნალისტურ გამოძიებაში საუბარია სისტემის მნიშნელოვან ჩავარდნაზე. კერძოდ, ოლივიამ უჩივლა უსაფრთხოების დაცვის ოფიცერს, თუმცა მის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა, რადგან ოფიცერი ამტკიცებდა, რომ პროტოკოლის შესაბამისად მოქმედებდა. დახურულ ოთახში კი სათვალთვალო კამერა არ იყო და პოლიციელიც ამტკიცებდა, რომ დათვალიერების დროს „სამხრე კამერა“ არ ჰქონდა დამაგრებული. შესაბამისად, ოლივიამ ვერ შეძლო მის მიმართ არასათანადო მოპყრობის დადასტურება. ჟურნალისტი მგზავრთა უსაფრთხოების დაცვის პრესსამსახურსაც დაუკავშირდა, რომელმაც ინტერვიუზე უარი თქვა. წერილობით პასუხში კი აღნიშნა, რომ უსაფრთხოების დაცვის ოფიცრები ადამიანებს სქესის, ფერის, რასის, გენდერული იდენტობის ან რელიგიის მიხედვით არ არჩევენ. მან ასევე აღნიშნა, რომ 43 000-მდე ოფიცერს ჩაუტარდა ტრენინგი ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით. თუმცა, როცა ჟურნალისტმა მოითხოვა ამ ტრენინგის მასალები, პასუხად უარი მიიღო. ჟურნალისტურ გამოძებაში პროპუბლიკას არაერთი მტკიცებულება აქვს მოყვანილი იმის დასადასტურებლად, რომ უსაფრთხოების დაცვის სამსახურის ოფიცრები პროტოკოლით გათვალისწინებულ ქცევის ნორმებს უხეშად არღვევენ.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო ლგბტქ საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის გამოკვლევა. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე მოხდა თემის ეთიკურ გაშუქებასთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციების შესწავლა. ამასთან, გაანალიზდა ის ჟურნალისტური პროდუქტები, რომლებმაც GLAAD-ის ყოველწლიურ დაჯილდოებაში საუკეთესო სტატიისა თუ სიუჟეტის სტატუსი მოიპოვეს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა რამდენიმე საკვანძო რეკომენდაცია ლგბტქ საკითხებს გაშუქებასთან დაკავშირებით.

- საერთაშორისო სტანდარტების და შესაბამისი პრაქტიკის მიხედვით, მედია ლგბტქ საკითხების გაშუქების დროს ზუსტ და ეთიკურ ტერმინოლოგიას იყენებს.
- ლგბტქ საკთხების გაშუქების დროს ჟურნალისტები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ არ გაავრცელონ დეზინფორმაცია.
- მედიის წარმომადგენლები ლგბტქ თემის წევრებს შეკითხვებს ყურადღებით და პატივისცემით უსვამენ.
- ეთიკური მედია, შესაძლო საფრთხის შემთხვევაში, ლგბტქ თემის წევრების იდენტიფიცირებას არ ახდენს.
- ჟურნალისტურ მასალაში ვიზუალის, კონტექსტის და ბალანსის დაცვა ეთიკური გაშუქების სტანდარტების შესაბამისად ხდება.
- ვიზუალური მასალა არასდროს ამყარებს ისედაც დამკვიდრებულ სტერეოტიპებს და არ შეიცავს მაპროვოცირებელ ან შეურაცხმყოფელ ხასიათს.
- ლგბტქ საკითხის გაშუქების შემთხვევაში, ყველა ჟურნალისტური პროდუქტი აუდიტორიას მნიშნელოვან კონტექსტს სთავაზობს.
- ლგბტქ საკთხების გაშუქების დროს ჟურნალისტები არასდროს ახდენენ სიძულვილის ენის ან ჰომოფობიის ციტირებას. საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი პერიფრაზი. მედიას უნდა ახსოვდეს, რომ ბალანსი არა რაოდენობრივი, არამედ ღირებულებითი საკითხია.

მედიის წარმომადგენლებს შეუძლიათ შეცვალონ ის დისკრიმინაციული გარემო, რომელშიც ლგბტქ თემის წევრებს უწევთ ცხოვრება. თუ მედია ლგბტქ თემთან დაკავშირებული საკითხებით უფრო ხშირად დაინტერესდება და ეთიკური სტანდარტების დაცვით გააშუქებს თემს, ამან შესაძლოა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ლგბტქ თემის წევრების მიმართ არსებული სტერეოტიპების მსხვრევა გამოიწვიოს. მედიას უნდა ახსოვდეს, რომ დისკრიმინაციის წახალისება არის დაუშვებელი, მათი როლი კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არსებული გარემოს შეცვლის და ისეთი კულტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, სადაც ყველა ადამიანს თანაბრად შეუძლია ისარგებლოს საკუთარი უფლებებით და თავისუფლებებით.

გამოყენებული ლიტერატურა

დანელია ნ., მედიაჩეკერი, ნინო დანელიას ხუთი რჩევა: როგორ გავაშუქოთ ღირსების მარშთან დაკავშირებული ძალადობრივი ექსტრემიზმი, 2021, 18 ივნისი. https://www.mediachecker.ge/ka/blogio/article/88414-nino-danelias-khuthi-rcheva-rogor-gavashuqoth-ghirsebis-marshthan-dakavshirebuli-dzaladobrivi-eqstremizmi

ვაჭარაძე ი. ინდეტობა, შესავალი ლგბტ ჟურნალისტიკაში, თბილისი, 2013.

კოალიცია თანასწორობისთვის, რა არის დისკრიმინაცია, 2019, 13 ოქტომბერი. http://equalitycoalition.ge/article/40

მედია მრავალფეროვნების ინსიტუტი, მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელო, 2004.

https://www.media-diversity.org/additional-files/documents/A%20Guides/MDI%20Reporting%20Diversity%20manual/Reporting%20Diversity%20Manual%20[KA].pdf .

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებები დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის მხრივ, თბილისი, 2021. https://www.ombudsman.ge/res/docs/2021051415512039554.pdf

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ქარტიის პრინციპების განმარტებები. https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30508-qartiis-principebis-ganmartebebi

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, თანასწორობის მოძრაობა ვაკა გორგილაძის და რუსა შელიას წინააღმდეგ, 9 მაისი 2020 წელი საქმე #372. https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/84271-thanastsorobis-modzraoba-vaka-gorgiladzis-da-rusa-shelias-tsinaaghmdeg

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 2, მიღების თარიღი: 02/05/2014

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53. სასჯელის დამამძიმებელი გარემოებები. მიღების თარიღი 22/07/1999.

American Psychological Association, 2015. https://www.apa.org/monitor/2015/09/upfront-committee-gender

Dan Christian Ghattas, Standing up for human rights of intersex-people-Ho can We help, Ilga Europe, OIL Europe, დეკემბერი, 2015.

https://www.ilga-europe.org/sites/default/files/how_to_be_a_great_intersex_ally_a_toolkit_for_ngos_and_decision_makers_december_2015_updated.pdf;

ETHOS Project-ის კვლევა Media reporting and Reference guide on LGBT Issues, Athens, 2019. https://www.ethos-project.eu/wp-content/uploads/2019/06/Media-reporting-and-reference-guide-on-LGBT-issues.pdf.

GIFFORDS და სხვ. Guiding Principles For Inclusive, Accurate and Unbiased Coverage. http://tellthewholestorynow.com/wp-content/uploads/2021/07/NARAL-Guiding-Principles-for-Inclusive-Accurate-and-Unbiased-Coverage.pdf;

GLAAD, Pride month resource kit for Journalists https://www.glaad.org/publications/pridekit

GLAAD, GLAAD Media reference guide, ოქტომბერი, 2016

https://www.glaad.org/reference/hatecrimes

GLAAD-ის მიერ ტრანსგენდერი ადამიანების გაშუქების რეკომენდაციები. https://www.glaad.org/reference/transgender

Hannah Ajala, Media Diversity Institute, Media representations of LGBTQ+ communities in Africa, 18/06/2021, https://www.media-diversity.org/unethical-biased-and-complicit-in-homophobia-media-representations-of-the-lgbtq-communities-in-africa/

IDAHOTB – International Day Against Homophobia, Transphobia & Biphobia. N.d. "What Is May 17th" https://may17.org/about/

Ivana Jovanovic, Media Diversity Institute, Media is still failing to educate public on LGBTQ+ rights, Serbia, 30/09/2019, https://www.media-diversity.org/serbian-pride-media-is-still-failing-to-educate-public-on-lgbtq-rights/.

Ignacio Torres, Jessica Hopper and Juju Chang (2019, November 20). ABC, For trans women of color facing 'epidemic' of violence, each day is a fight for survival: 'I'm an endangered species… but I cannot stop living'. https://abcnews.go.com/US/trans-women-color-facing-epidemic-violence-day-fight/story?id=66015811&fbclid=IwAR3kqQjXGnn69S2HN_JwCCrCvXwxWRLtn06awTxosaTiTwqNDsF1vDBav5I.

Jacob Kushner (2019, March 3). THE NEW YORKER, The Gay-Rights Activists Hoping for A Legal Victory in Kenya. https://www.newyorker.com/news/news-desk/the-gay-rights-activists-hoping-for-a-legal-victory-in-kenya,

Jack Drescher, Out of DSM: Depathologizing Homosexuality, 4/12/2015. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4695779/;

Lucas Waldron and Brenda Medina (August, 2019). ProPublica, When Transgender Travelers walk into scanners, invasive searches sometimes wait on the other side. https://www.propublica.org/article/tsa-transgender-travelers-scanners-invasive-searches-often-wait-on-the-other-side,

Masha Gessen (2017, June 26). THE NEW YORKER, The Gay Men Who Fled Chechnya's Purge. https://www.newyorker.com/magazine/2017/07/03/the-gay-men-who-fled-chechnyas-purge

Mike Corder (2021, July 27). APNEWS, PiliceL Attack on 14-year-old Dutch Girl may be LGBTQ-linked. https://apnews.com/article/europe-world-news-arrests-netherlands-amsterdam-01f59ff15be2f321a09837caf2d18e2d,

National Center for Transgender Equality, 9/07/2016,

https://transequality.org/issues/resources/understanding-transgender-people-faq

OSCE ODIHR, What is hate crime. https://hatecrime.osce.org/what-hate-crime

OFCOM, Section Five: Due impartiality and Due accuracy, 5/01/2021.

https://www.ofcom.org.uk/tv-radio-and-on-demand/broadcast-codes/broadcast-code/section-five-due-impartiality-accuracy.

Ryan Ruggiero (2018, February 9). CNBC, Bermuda same-sex marriage ban means trouble for tourism and cruise ships. https://www.cnbc.com/2018/02/09/bermuda-same-sex-marriage-ban-means-trouble-for-tourism-cruise-ships.html

Sarah Pruitt, What Happened at the Stonewall Riots, 1/01/2020/ https://www.history.com/news/stonewall-riots-timeline.

Society of Professional Journalists, SPJ Code of Ethics, 6/09/2014,

https://www.spj.org/ethicscode.asp.

The Opinion Pages, THE NEW YORK TIMES, Transgender Lives: Your Stories. https://www.nytimes.com/interactive/2015/opinion/transgender-today/stories/lana-moore.

The editorial board (2019). The NEW YORK TIMES, The quest for transgender equality. : https://www.nytimes.com/2015/05/04/opinion/the-quest-for-transgender-equality.html.

The Asexual Visibility&Education Network, https://www.asexuality.org/?q=overview.html

World Health Organization, Gender, Equality and Human Rights, 2016, http://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/255340/WHO-FWC-GER-16.2-eng.pdf?sequence=1&ua=1;